ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2015 წლის 18 მაისი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №16 დადგენილების (www.matsne.gov.ge 17/07/2014, 010250020.35.158.016161) პირველი მუხლით დამტკიცებულ ბოლნისის მუნიციპალიტეტის დებულებაში შევიდეს ცვლილება და დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„4. გამგებლის წარმომადგენელი:

ა) გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ;

ბ) გამგებლის დავალებით უზრუნველყოფს სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებას;

გ) უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებლივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას;

დ) გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას:

ე) გამგებელს აწვდის ინფორმაციას ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინასებული პროგრამების და ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ;

ვ) მონიტორინგს უწევს ადმინისტრაციულ ერთეულში კულტურის და ისტორიული ძეგლების მდგომარეობას და ინფორმაციას წარუდგენს გამგებელს;

ზ) მონაწილეობს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებების ორგანიზების საკითხებში;

თ) დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრების ფაქტს;

ი) ხელმოწერით ადასტურებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ყიდვა - გაყიდვის თაობაზე შედგენილ აქტს;

კ) სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად ახორციელებს ოჯახში ვიზიტს, ესწრება ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების პროცესს და ხელს აწერს ოჯახის დამატებითი შეფასების ოქმს;

ლ) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ;

მ) გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**